სს „საქართველოს რკინიგზა“

ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15

ელექტრონული ტენდერი

ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს ელმავლების შემკეთებელი საამქროს შენობის სახურავის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების შესყიდვა

CPVკოდები – 45200000

სავარაუდო ღირებულება – 120 968 ლარი დღგ-ს გარეშე

სატენდერო დოკუმენტაცია

საკონტაქტო პირი:

სატენდერო კომისიის აპარატის უფროსი: თამარ ხოკერაშვილი

ტელ: (995 32) 219-90-14, მობ: 591-19-91-58, ელ_ფოსტა: tamar.khokerashvili@railway.ge

წამყვანი სპეციალისტი: ნინო მიქელაძე, ტელ: (995 32) 219-89-08

სპეციალისტი: თამარ ქაფიანიძე, ტელ: (995 32) 219-91-04

სპეციალისტი: ქეთევან საბაშვილი, ტელ: (995 32) 219-98-27

ტექნიკური დოკუმენტაცია

1. შესყიდვის ობიექტი:

- ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს ელმავლების შემკეთებელი საამქროს შენობის სახურავის კაპიტალური შეკეთების სამუშაოები.
- **<u>შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება - 120 968 ლარი დღგ-ს გარეშე;</u>**

2. სატენდერო წინადადება, საკვალიფიკაციო მონაცემები და წინამდებარე ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტ(ებ)ი წარმოდგენილ უნდა იქნეს **ქართულ ენაზე**; დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

3. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს **ერთი სატენდერო წინადადება,** ალტერნატივა არ განიხილება.

4. სამუშაოს შესრულების ადგილი: ქ. ქუთაისი. ხაბეიშვილის მე-2 შესახვევი №4.

5. სამუშაოს შესრულების ვადა: არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან **60 (სამოცი) კალენდარული დღე.**

6. შესრულებული სამუშაოების **მიღება და საბოლოო ანგარიშსწორება** განხორციელდება მხოლოდ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების **სრულად შესრულების შემდეგ, ექსპერტიზის დადებითი დასკვნის საფუძველზე (ექპერტიზის ხარჯები ეკისრება შემსყიდველს).**

7. შესრულებულ სამუშაოზე საგარანტიო ვადა: მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არანაკლებ 10 (ათი) წელი.

8. ანგარიშსწორების ფორმა: კონსიგნაცია (მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 საბანკო დღის განმავლობაში), **არ დაიშვება ავანსი და აკრედიტივი.**

9. წინადადების ფასი:

9.1 წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახდელის გათვალისწინებით. წინადადების ფასი შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) მითითებული უნდა იქნეს დღგ-ს გარეშე;

9.2 ხარჯები, რომლებიც წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას;

9.3 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება წინადადების ფასის დღგ-ს შესაბამისი ოდენობა, თუ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის პრეტენდენტი არის დღგ-ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

9.4 გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმდება აშშ დოლარში ელექტრონული ვაჭრობის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად; ანგარიშსწორება მოხდება, ლარში, მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

10. პრეტენდენტმა, სისტემაში უნდა ატვირთოს <u>შემდეგი დოკუმენტები</u>:

10.1 <u>დანართი №1</u> (თანდართული ფორმის შესაბამისად) ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ.

10.2 უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, უწყისების შესაბამისად (<u>დანართი №2</u>) შედგენილი, **შესასრულებელ სამუშაოთა ხარჯთაღრიცხვა.**

(შენიშვნა: პრეტენდენტი ვალდებულია ხარჯთაღრიცხვის შედგენისას იხელმძღვანელოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის N1-1/1463 ბრძანებით).

10.3 პრეტენდენტს ან მის სუბკონტრაქტორს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა გააჩნდეს არანაკლებ სამ ობიექტზე სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულების გამოცდილება (რომელიც აუცილებელია მოიცავდეს რკინა-ბეტონის კონსტრუქციებთან დაკავშირებულ სამუშაოებს), რაზედაც უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (ხელშეკრულებ(ებ)ა და ამავე ხელშეკრულების სრულად შესრულების მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი). ამასთან, 2012-2014 წლების განმავლობაში აღნიშნული სამშენებლო საქმიანობის გაწევიდან მიღებული შემოსავალი ჯამში არ უნდა იყოს 800 000 ლარზე ნაკლები;

10.4 **სუბკონტრაქტორის არსებობის შემთხვევაში** პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს სუბკონტრაქტორ(ებ)თან სამართლებრივი ურთიერთობის დოკუმენტ(ებ)ი (ხელშეკრულება, შეთახმება ან სხვა ექვივალენტური დოკუმენტი).

11. დოკუმენტაციაში, სადაც მითითებული იქნება კონკრეტული სასაქონლო ნიშანი, მოდელი, წარმოშობის წყარო ან მწარმოებელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) იგულისხმება „მსგავსი," ,,ანალოგი" ან „ეკვივალენტური";

12. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი ელექტრონული სისტემის კითხვა/პასუხის მოდულის მეშვეობით, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, განახორციელოს სატენდერო განცხადებასთან და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შესაბამისი დაზუსტება/განმარტება.

დანართი №1

1	პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება	
2	ხელმძღვანელის სახელი და გვარი	
3	პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი	
4	საიდენტიფიკაციო კოდი	
5	პრეტენდენტის საკონტაქტო ტელეფონის ნომერი	
6	ელექტრონული მისამართი	
7	საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი, ანგარიშის ნომერი და ა.შ.	
8	სამუშაოს შესრულების ვადა მე-5 პუნქტის შესაბამისად	
9	თანხმობა იმის შესახებ, რომ პრეტენდენტი თანახმაა მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადაზე	

**აღნიშნული დანართი ხელმოწერილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.*

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № **(პროექტი)**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ----- ---------- 2014 წ.

ერთის მხრივ, სს ,,საქართველოს რკინიგზა," წარმოდგენილი მისი დირექტორის სახით, მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15 (შემდგომში _ შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, ----------, წარმოდგენილი ---------- სახით, მისამართი: ---------- (შემდგომში _ მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2014 წლის ---------- გამოცხადდა და ---------- დაასრულდა წინადადებების მიღება გამარტივებულ ელექტრონული ტენდერზე (№**SPA ----------**) **სამუშაოების შესყიდვის შესახებ,** (CPV კოდი _ ---------), რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება დანართის (----------) შესაბამისად, განახორციელოს ---------- სამუშაოები (შემდგომში _ სამშენებლო სამუშაო).

ტექნიკური დოკუმენტაციის ---------- პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულება ფორმდება აშშ დოლარში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ 2014 წლის ---------- (ელექტრონული ვაჭრობის დღისათვის) დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის (1 USD _ ---------- ლარი) მიხედვით.

ხელშეკრულების საერთო ღირებულება დღგ-ს გარეშე შეადგენს _ ---------- აშშ დოლარს, ხოლო დღგ-ს ჩათვლით ----------აშშ დოლარს (შემდგომში _ ხელშეკრულების ღირებულება).

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

1. მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების პირობებში.
2. ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს, კერძოდ:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა;

გ) დეფექტური აქტი;

დ) ამონაწერი სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიანი ელექტრონული სისტემიდან გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ვაჭრობის მიმდინარეობის შესახებ;

ე) დანართი ხელშეკრულების ადმინისტრირების შესახებ;

ვ) საქართველოს ეროვნული ბანკის ვებ-გვერდიდან ამონაწერი ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლის ოფიციალური კურსის შესახებ;

ზ) ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია ***(ასეთის არსებობის შემთხვევაში)***

თ) ხელშეკრულების საერთო პირობები /რომელიც ტიპიურია ყველა ხელშეკრულებისათვის/;

ი) ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები;

3. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულ შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2014 წლის ----------

„შემსყიდველი"	**„მიმწოდებელი"**
სს ,,საქართველოს რკინიგზა"	----------
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15	----------
ს/კ 202886010	ს/კ ----------
სს ,,საქართველოს ბანკი"	სს "ბანკი ---------- "
ა/ა GE09BG0000000128695301	ბანკის კოდი: ----------
ბანკის კოდი: BAGAGE22	ანგარიშის № GE ----------
	ტელ: ----------
_____	_____
---------- დირექტორი	

ხელშეკრულების საერთო პირობები

ხელშეკრულების საერთო პირობები წარმოადგენს სატენდერო დოკუმენტაციისა და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს. ისინი ატარებენ ტიპიურ ხასიათს და უნდა იქნან გამოყენებული ყოველგვარი ცვლილებების გარეშე იმ მოცულობით, რა მოცულობითაც ეს შეესაბამება კონკრეტულ შესყიდვას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ "ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და ახორციელებს სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

2.1 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოები უნდა შეესაბამებოდეს ტექნიკურ პირობებში მითითებულ სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში და/ან ტექნიკურ პირობებში უნდა იყოს მითითება თუ რა სახის შემოწმებები და გამოცდები სჭირდება შემსყიდველს და ასევე სად უნდა გაიმართოს ისინი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1 სამუშაოს შესრულება ხორციელდება მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში ასახული გრაფიკის მიხედვით.

4.2 სამუშაოების შესრულების ვადებში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობისა და მისი შესრულების მიმდინარეობაზე შემსყიდველის ან მისი წარმომადგენლის მიერ კონტროლის საკითხები ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

4.3 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე.

5. დაზღვევა *(ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)*

5.1 მიმწოდებელი ვალდებულია დააზღვიოს შესყიდვის ობიექტი და/ან მისი ნაწილები (ცალკეული ელემენტები, დანადგარები და წარმოების სხვა საშუალებები, ქონება, მიმწოდებლის და/ან სუბკონტრაქტორის პერსონალი და სხვა) ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული მოთხოვნების შესაბამისად.

6. თანმდევი მომსახურება

6.1 მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით გათვალისწინებული თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან და/ან შესყიდვის ობიექტის შემდგომ ექსპლუატაციასთან.

6.2 თანმდევი მომსახურების ღირებულება შედის ხელშეკრულების ფასში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7.2 შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილი, პირობები, ეტაპები და წესი ასახულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

7.3 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

7.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული ფორმითა და ვადებში მიმწოდებლის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

8.2 მიმწოდებლის წერილობით მოთხოვნას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში მითითებული დოკუმენტაცია.

9. ანგარიშსწორების ვალუტა

9.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში *(თუ მიმწოდებელი საქართველოს რეზიდენტია).*

9.2 ანგარიშსორება განხორციელდება სატენდერო დოკუმენტაციაში დაფიქსირებულ საანგარიშსწორებო ვალუტაში მისი ლართან მიმართებაში დაფიქსირებული კურსით.

10. ფასები

10.1 ხელშეკრულებაში მითითებული ფასების შეცვლა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი რამ გათვალისწინებულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

10.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და კანონქვემდებარე აქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. უფლებების გადაცემა

12.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი უფლებები და ვალდებულებები.

13. სუბკონტრაქტორები

13.1 მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის შესახებ, თუ ეს უკვე არ არის მითითებული წინადადებაში.

13.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

13.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით არსებული მატერიალური ან სხვა ვალდებულებებისაგან.

14. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

14.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

14.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

15. ხელშეკრულების შესრულების გარანტია *(ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში)*

15.1 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არასრული შესრულების გამო. (გარანტიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 პროცენტს და არ უნდა იყოს 2 პროცენტზე ნაკლები). იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომელთა დადგომა გამოიწვევს მიმწოდებლისათვის გარანტიის დაუბრუნებლობას და აღნიშნულ გარემოებათა დადგომის გამო, შემსყიდველისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების მიზნით, საგარანტიო თანხის გამოყენების წესი განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

15.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ შემსყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

15.3 მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი

ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

16. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

16.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები და გადახდის ვადები განსაზღვრულია ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში.

16.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

17.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

(ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

(ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

17.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

17.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

17.4 ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

18. ფორს-მაჟორი

18.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

18.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

18.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

19. სადავო საკითხების გადაწყვეტა

19.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ

19.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

20. გამოყენებული სამართალი

20.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

21. ხელშეკრულების ენა

21.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

22. შეტყობინება

22.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

22.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

23. გადასახადები და დაბეგვრა

23.1 უცხოური მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, ბაჟის, მოსაკრებელის და სხვა გადასახდელის გადახდაზე, რომელიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

23.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელის და სხვა გადასახდელის გადახდაზე, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მეშვეობით ხორციელდება ხელშეკრულების საერთო პირობების შევსება, დაზუსტება და ცალკეული შესყიდვისათვის დამახასიათებელი პირობების დაკონკრეტება.
ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებს, საერთო პირობებს და დანართებს (დეფექტური აქტი, ხარჯთაღრიცხვა) შორის ურთიერთშეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების შესაბამის მუხლებს.

1. **ხელშეკრულების დამდები მხარეები**

ხელშეკრულების მხარეები არიან:

შემსყიდველი _ სს "საქართველოს რკინიგზა," წარმოდგენილი მისი დირექტორის ----------, მისამართი: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი №15.

მიმწოდებელი _ ----------, წარმოდგენილი მისი ----------, მისამართი: ----------

2. **ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

2.1 შემსყიდველი უფლებამოსილია, როგორც სამუშაოების მიმდინარეობისას, ასევე მათი დასრულების შემდგომ, ნებისმიერ დროს, განახორციელოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობების, ხარისხისა და ვადების კონტროლი, გარკვეულ შემთხვევებში იმ მომსახურებათა და მოწყობილობების კონტროლი, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაოთა შესრულებასთან.

სამუშაოების შესრულების მიმდინარეობის, ვადების, განხორციელების ადგილსა და საჭირობის მიხედვით სხვა აუცილებელი ინფორმაციის კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, ---------- (ტელ: ----------). ასევე ექსპერტი, ან ექსპერტთა ჯგუფი.

2.2 შემსყიდველს უფლება აქვს, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, მოითხოვოს მიმწოდებლისაგან სამუშაოების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

3. **სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები**

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს ---------- სამუშაოები თანდართული დანართის (----------) შესაბამისად. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების ადგილია ----------

3.2 შემსყიდველის მიერ, შესრულებულ სამუშაოში ხარვეზების არსებობის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა ხარვეზის აღმოსაფხვრელად და გამოასწოროს ხარვეზი (ხარვეზები) საკუთარი ხარჯებით.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან ---------- კალენდარულ დღეში.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს ყველა თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოთა შესრულებასთან.

3.5 მიმწოდებელი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ საბოლოო ვადამდე დაასრულოს სამუშაოები და მოითხოვოს შესრულებული სამუშაოების (შესყიდვის ობიექტი) მიღება-ჩაბარება ამ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-4 მუხლის შესაბამისად.

3.6 სამუშაოების დასრულებას მიმწოდებელი შემსყიდველის წინაშე დააფიქსირებს ოფიციალური მიმართვის საფუძველზე. სამუშაოების განხორციელების ვადის ათვლა ჩერდება (პუნქტი 3.3) ექსპერტიზის პერიოდის ვადით. შესრულებულ სამუშაოებზე, ექსპერტის (ექსპერტთა ჯგუფის) მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაერიცხება პირგასამტეხლო (როგორც პირველი, ასევე ყოველი შემდგომი) ექსპერტიზისათვის დახარჯული ვადის ჩათვლით ამ ხელშეკრულების 7.1 პუნქტის შესაბამისად.

4. **შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1 შესრულებული სამუშაოების (შესყიდვის ობიექტი) მიღება-ჩაბარება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ ობიექტის სრულად/ფაქტიურად შესრულების შემდეგ და ექსპერტის (ექსპერთა ჯგუფის) მიერ ობიექტზე წარმოდგენილი დადებითი დასკვნის გათვალისწინებით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერების გზით.

4.1.1 შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მხრიდან ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ:

4.2 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტი დგება ოთხ ეგზემპლიარად, რომელთაგან სამი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

4.3 მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის და ხელმოწერის შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველს წარუდგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

5. გარანტია

5.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, მასზედ რომ მის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შეესაბამება ----------.

5.2. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაოები, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

5.3. მიმწოდებელი ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების დღიდან ---------- კალენდარული წლის ვადით იძლევა გარანტიას შესრულებულ სამშენებლო სამუშაოებზე და დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში იღებს ვალდებულებას მოახდინოს მათი გამოსწორება საკუთარი ხარჯებით.

5.4. შესრულებულ სამუშაოებში რაიმე სახის ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ, საკუთარი ხარჯებით, გამოასწოროს არსებული ხარვეზი, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის, რომლის ხარჯებს სრულად აანაზღაურებს მიმწოდებელი.

6. ანგარიშსწორება

6.1. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო, კონსიგნაცია.

6.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღისთვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

6.3. ანგარიშსწორებისათვის საჭირო დოკუმენტებს წარმოადგენს: ამ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 4.1. მუხლით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტი (დედანი), საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და ექსპერტის (ექსპერტთა ჯგუფის) დადებითი დასკვნა.

6.4. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად შესრულების შემდეგ, მხარეთა შორის ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 4.1. მუხლით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში.

6.5 საბოლოო ანგარიშსწორებამდე მხარეები ადგენენ ურთიერთშედარების აქტს.

ანგარისწორების ფორმა ავანსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

6.1. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება.

6.2. ანგარიშსწორების ვალუტა: ქართული ლარი.

6.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შემდეგი წესით:

6.3.1. ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს ----------% მიმწოდებელს გადაერიცხება ავანსად მის მიერ შემსყიდველისათვის შემდეგი დოკუმენტების წარდგენიდან 20 (ოცი) საბანკო დღეში:

- ავანსის მოთხოვნის წერილი;
- ინვოისი საავანსო თანხაზე;
- ავანსის უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია (6.4 პუნქტის პირობათა დაცვით), რომელიც გაცემული უნდა იყოს ბანკის მიერ, აშშ დოლარში, ავანსად გადასახდელი თანხის მთლიან ოდენობაზე და რომლის მოქმედების ვადა 50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოს განხორციელების საბოლოო ვადას. ავანსის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია წარმოდგენილ უნდა იქნას ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) საბანკო დღისა. ამ ვადაში ზემოაღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში ანგარიშსწორება (100%) განხორციელდება 6.6 პუნქტის შესაბამისად.

6.3.2. ავანს(ებ)ის გადარიცხვისას ანგარიშსწორება განხორციელდება ავანს(ებ)ის გადარიცხვის დღეს არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსის მიხედვით ეროვნულ ვალუტაში.

6.3.3. ავანსი გაიქვითება განხორციელებული სამუშაოების ღირებულებიდან, -------%-ის ოდენობით გადარიცხული ავანს(ებ)ის პროპორციულად აშშ დოლარში, ავანს(ებ)ის გადარიცხვის დღისათვის არსებული კურსის შესაბამის ეროვნულ ვალუტაში.

6.3.4. განხორციელებული სამუშაოს დარჩენილი ნაწილი (--------%) მიმწოდებელს აუნაზღაურდება კონსიგნაციით, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად შესრულების შემდეგ, მხარეთა შორის ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 4.1. მუხლით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან 20 (ოცი) საბანკო დღის ვადაში შემდეგი დოკუმენტების საფუძველზე:

_ მიღება-ჩაბარების აქტი (დედანი);
_ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა;
_ ექსპერტის (ექსპერტთა ჯგუფის) დადებითი დასკვნა.

6.4 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულებით უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული და ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებელისათვის გადახდილი ავანსის დასაბრუნებელი /გამოუქვითავი/ ნაწილი ანაზღაურებულ /დაბრუნებულ/ უნდა იქნას შემსყიდველისათვის ქართულ ლარში, ბანკის მიერ გადარიცხვის დღისათვის ეროვნული ბანკის

მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ამავე დროს, დასაბრუნებელი /გამოსაქვითი/ ავანსის თანხა არ უნდა იყოს შემსყიდველის მიერ მიმწოდებელისათვის ეროვნულ ვალუტაში გადარიცხული ავანსის მოცულობაზე ნაკლები. ამ პრინციპით გაანგარიშებული დასაბრუნებელი /გასაქვითი/ ავანსის გადარიცხულზე მეტობის შემთხვევაში, ნამატი თანხა სრულად დარჩება შემსყიდველს დამატებითი შემოსავლის სახით.

6.5. შემსყიდველისათვის განხორციელებული სამუშაოს ღირებულება ეროვნულ ვალუტაში გაანგარიშდება საშუალო შეწონილი ფასის გაანგარიშების პრინციპით, კერძოდ: ავანს(ებ)ის გადახდის დღისთვის არსებული საქართველოს ერონული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსისა და მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის დღისათვის არსებული საქართველოს ერონული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით შესაბამისი პროპორციით.

6.6 კონსიგნაციით ანგარიშსწორების შემთხვევაში, ანგარიშსწორება განხორციელდება 6.3.4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების წარმოდგენიდან 20 (ოცი) საბანკო დღეში.

6.7 კონსიგნაციით ანგარიშსწორებისას განხორციელებული სამუშაოს ღირებულება ეროვნულ ვალუტაში გაანგარიშდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

6.8 საბოლოო ანგარიშსწორებამდე მხარეები ადგენენ ურთიერთშედარების აქტს.

7. **ხელშეკრულების შესრულების გარანტია** ***(ასეთის არსებობის შემთხვევაში)***

7.1 იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული რისკი, წარმოქმნილი მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, გამოყენებული იქნება შემსყიდველთან წინასწარ შეთანხმებული ბანკის უპირობო საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 5 %-ის ოდენობით, რომელიც წარმოდგენილ უნდა იყოს აშშ დოლარში და რომლის მოქმედების ვადაც 50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს 3.3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების საბოლოო ვადას. (იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ზე მეტით დაბალია შესაბამისი ტენდერის შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით).

7.2 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემდეგ შემსყიდველი დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას.

7.3 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი არ დაუბრუნებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას და გარანტიაში მითითებულ თანხას გამოიყენებს უპირობოდ, დარიცხული პირგასამტეხლოს ფარგლებში.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ამ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 3.3. მუხლით გათვალისწინებული საბოლოო ვადის გადაცდენის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისთვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 0,1 %-ის ოდენობით, რომელიც გაანგარიშებულ იქნება აშშ დოლარში და მოთხოვნილი (გაქვითული) იქნება ქართულ ლარში მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღის, ან ასეთის არ არსებობის შემთხვევაში, შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შეწყვეტის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. ამასთან, პირგასამტეხლოს დარიცხვა შეწყდება მას შემდეგ, რაც დარიცხული თანხა მიაღწევს ხელშეკრულების საერთო ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5 %-ს./პროცენტი დამოკიდებულია გარანტიის ოდენობაზე/.

8.2. თუ მიმწოდებლის მიერ დარღვეულ იქნა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადები, რაც გამოვლენილ იქნება შემსყიდველის მხრიდან შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის (ექსპერტი, ან ექსპერტთა ჯგუფი) მიერ, შემსყიდველი უფლებამოსილია დამატებით განუსაზღვროს მიმწოდებელს გონივრული ვადა შეუსრულებელ სამუშაოთა დასრულებისათვის. თუ მიმწოდებლის მიერ ამ ვადაშიც არ იქნა დასრულებული სამუშაოები, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ის ოდენობით./პროცენტი დამოკიდებულია გარანტიის ოდენობაზე/.

8.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) 5%-ის ოდენობით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირგასამტეხლოს ანაზღაურება არ მოხდება მიმწოდებლის მიერ 7.1 პუნქტით გათვალიწნებული საბანკო გარანტიიდან ***(ასეთის არსებობის შემთხვევაში)***, მაშინ პირგასამტეხლო გაანგარიშებულ იქნება აშშ დოლარში და მოთხოვნილი (გაქვითული) იქნება ქართულ ლარში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის აშშ დოლართან ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

8.4 ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული პირგასამტეხლოს მაქსიმალური ზღვრული ოდენობა, რომელიც შეიძლება დაეკისროს მიმწოდებელს, შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების (დღგ-ს გარეშე) არაუმეტეს 5%-ს /პროცენტი დამოკიდებულია გარანტიის ოდენობაზე/.

დანართი №2

სულ ღირებულება		
ლარი	დოლარი	კურსი

"საქართველოს რკინიგზა"-ს ფილიალ "მგზავრთა გადაყვანა"-ს ტექნიკური დეპარტამენტის ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს ელმავალების შემკეთებელი საამქროს გადახურვის რ/ბ წიბოვანი ფილების გამაგრება

უწყისი №1

	სამუშაო	განზ.	რაოდენობა		მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები		ჯამი
			ნორმატივით ერთეულზე	სულ	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
	1 სადემონტაჟო სამუშაოები										
	რ/კ კონსტრ. ამონგრევა 1მ3	ტ		1							
	შრომის დანახარჯები 53.8X0.6X1.15=	კაც/სთ	0.658	0.658							
	სანგრევი ჩაქუჩი 0,775X1,15=	მანქ/სთ	0.775	0.78							
	კომპრესორი 0,775X1,15=	მანქ/სთ	0.775	0.775							
	სხვა მანქანა 0.2X0.7X1.25=	ლარი	0.18	0.12							
	მასალა:										
	ელექტროდი 0.12X0.5=	კგ	0.06	0.04							
	სხვა მასალა 2.78X0.5=	ლარი	1.39	0.91							
	სამშენებლო ნაგვის დატვირთვა ა/მან. ხელით	ტ		2.50							
	შრომის დანახარჯი	კაც/სთ	0.6	1.50							
	სამშენებლო ნაგვის გატანა 20 კმ-ზე	ტ		7.00							
	2.სამშენებლო სამუშაოები										
	ლითონის კონსტრუქციების მოწყობა										
8-22-6	შიგა ხარაზოების მოწყობა სიმაღლით 9 მ-მდე	მ2		300							
	შრომის დანახარჯები 0.738+0.525	კაც/სთ	1.263	378.90							

		სხვა მანქანა 0.0069+0.0034	ლარი	0.0103	3.09						
		მასალა:									
		ხარაზოს ლითონის ელემენტები	ტ	0.00058	0.174						
		ხარაზოს ხის ელემენტები	მ3	0.00016	0.048						
		ფენილის ფარი	მ2	0.069	20.70						
	6-16-8	მონოლითური რკ/ბეტონის გადახურვების მოწყობა მ300 ბეტონისაგან ლითონის კოჭებზე	მ3		0.60						
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	12.1	7.26						
		სხვა მანქანა	ლარი	1.1	0.66						
		მასალა:									
		ბეტონი ბ-25	მ3	1.015	0.61						
		ყალიბის ფარი	მ2	1.85	1.11						
		ხის ფიცარი 2ხ.25-32მმ	მ3	0.0228	0.01						
		ხის ფიცარი 2ხ.40მმ და მეტი	მ3	0.0533	0.03						
		ელექტროდი	კგ	1.8	1.08						
		სხვა მასალა	ლარი	0.98	0.59						
	6-9-10	ბეტონის არმირება	ტ		0.60						
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	12.3	7.38						
		სხვა მანქანა	ლარი	1.4	0.84						
		მასალა:									
		არმატურა ა-I-3	ტ	1	0.60						
		ლითონის შველერი №30,№16	ტ	1	7.38						
		ლითონის ორტესებრი №16	ტ	1	0.84						
		სხვა მასალა	ლარი	7.15	4.29						
5	46-2-2	გაძლიერება ლითონ კონსტრუქციების მოწყობით	ტ		21.53						
		შრომის დანახარჯები	კაც/სთ	170	3660.10						
		მანქანები	ლარი	7.69	165.57						
	01.6;ა21	ლითონის ზოლოვანა 10X50 409 კგ 0.409X1.02=0.42	ტ		0.42						
	01.3;ა30	ლითონის ზოლოვანა 10X120 669 კგ 0.669X1.02=0.68	ტ		0.68						
	01.3;ა30	ლითონის ორტესებრი №24 23259 კგ მზა კონსტრ 21.53-0.41-0.67=20.45	ტ	1	20.45						
		სხვა მასალა	ლარი	14.50	312.19						

	ელექტროდი 0.12X0.5=	კგ	308	237.16							
5-164-8	ლითონის ნაკეთობების ანტიკოროზიული ყოველმხრივი შეღებვა კვანძებში ჩაყენების წინ და შედუღებებზე საღებავის გადასმა ორჯერ	ასი მ2		2.00							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	68	136.00							
	სხვა მანქანა	ლარი	0.03	0.06							
	ოლიფა	კგ	2.7	5.40							
	ანტიკოროზიული ლაქი	კგ	24.6	49.20							
	სხვა მასალა	ლარი	0.19	0.38							
	ჯამი										
	სატრანსპორტო ხარჯები-3%										
	ჯამი										
	ზედნადები ხარჯები - 10%და8%										
	ჯამი										
	მოგება - 8%										
	ჯამი დღგ-ს გარეშე										

ჯამი: /[illegible]/

სულ ღირებულება		
ლარი	დოლა	კურსი

II. ქ. ქუთაისის დეპოს ელმავლების შემკეთებელი საამქროს გადახურვის სამუშაოები

უწყისი №2

ნორმატიულ ნომერი,რესურს ების კოდი	სამუშაოებისა და ხარჯების დასახელება	განზ.	რაოდენობა		მასალა		ხელფასი		მანქანა-მექანიზმები და		ჯამი
			ნორმატივ ით ერთეულ ზე	სულ	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	ერთ. ფასი	ჯამი	
2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
	თავი-2. ელმავლების შემკეთებელი საამქრო										
11-8-1	ცემენტის მოჭიმვის მოწყობა სისქით 50მმ	მ2		774.00							
	შრომის დანახარჯები	მ2	1	774.00							
	სხვადასხვა მანქანები ნორმით 0,0095X1,15=	ლარი	0.011	8.51							
	მასალა:			0.00							
	ცემენტის ხსნარი მ150	მ3	0.051	39.47							
	სხვადასხვა მასალა ნორმით	ლარი	0.0636	49.23							
13-25-1 13-25-2	სახურავის მოწობა 2 ფენა ლინოკრომით ან ბიკროსტით	მ2		774							
	შრომის დანახარჯები 1,71X1,15=	კაც/სთ	1.97	1524.78							
	სხვადასხვა მანქანები ნორმით 0,22X1,25=	ლარი	0.275	212.85							
	მასალა:			0.00							
	ლინოკრომი	მ2	1.15	890.10							
	ლინოკრომი	მ2	1.15	890.10							
	ბითუმი	კგ	2	1548.00							
	ბენზინი	ლ	2	1548.00							
	გაზი	კგ	1.332	1030.97							
12-8-1	ფასადის მოჩარჩოება	მ2		960							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	0.079	75.84							

2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
	სხვა მანქანა	ლარი	0.0006	0.58							
	მასალა:			0.00							
	მოთუთიებული თუნიქი	ტ	0.0002	0.19							
	ნაჭედი	კბ	0.112	107.52							
	წყალსაწრეტი თუნუქის მილები	მ	0.05	48.00							
	წყალსაწრეტი თუნუქის ძაბრი	ც	0.006	5.76							
	წყალსაწრეტი თუნუქის მუხლი	ც	0.024	23.04							
	წყალსარინი	ც	0.006	5.76							
	სხვა მასალა	ლარი	0.0037	3.55							
12-8-2	ფასადის მოჩარჩოება	82 ფასადის		960							
	შრომის დანახარჯები	კაც/სთ	0.0414	39.74							
	სხვა მანქანა	ლარი	0.0001	0.10							
	მასალა:			0.00							
	მოთუთიებული თუნიქი	ტ	0.0002	0.19							
	სხვა მასალა	ლარი	0.0036	3.46							
	სამშენებლო ნაგვის დატვირტვა ა/მან. ხელით	ტ		2.00							
	შრომის დანახარჯი	კაც/სთ	0.6	1.20							
	სამშენებლო ნაგვის გატანა 20 კმ-ზე	ტ		2.00							
	ჯამი										
	ტრანსპორტო ხარჯები-3%										
	ჯამი										
	ზედნადები ხარჯები - 10%										
	ჯამი										
	მოგება - 8%										
	ჯამი										

სულ ჯამი